# სახალხო გაზეთი

№ 893 სამშაბათი, 14 მაისი 1913 წ. № 893

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



„ტურისტთა კლუბი“
მიხეილის პროსპ., 66. ტელეფონი 1441
დღეს, 14 მაისს
**გაიხსნება**
ტურისტთა კლუბი,
**საზაფხულო შენობა**
გამგეობა.

**პიკანზე**
გაიმართება VARIÉ
**პირველ ხარისხოვან მსახიობთა მონაწილეობით.**
ტრიო ადერფის—სპორტი აქტი, გარდერსი—მუსიკალური ექსცენტრიკი, კარტერი—მანიპულიატორი, ადიკს—კომიკური ჟონგლერი, ლა-ტრე—ეკვილიბრისტი, ტონი-რენო აკრობატიულ ცეკვის დუეტი, იაკოვლევა—შეასრულებს ციგანთა რომანსებს, კუბანსკი—ორიგინალური ჰუმორისტი, კრინსკების დუეტი და სხვა მრავალი ნომერი. **დასაწყისი საღ. მოს 8 საათზე.** რეჟისსორი მორეტტი.
სტუმართა შეშვება წევრთა რეკო მენდაციით, კაცებისა 1 მ ნეთი, ქალებისა 50 კაპ.

პირველ-ხარისხოვანი
**ბუფეტი.**
სამზარეულო ცნობილ
შეფის ნ. ო. ჭინჭარაძის ხელმძღვანელობით.
მოსკოვის სანოვაგე
ყოველ-დღე ახალ-ახალი
„BAR AMERICAN“.
**რუმინული ორკესტრი**
საუკეთესო ფირმების ღვინო და ლუდი. 1196

**კვირას, 26 მაისს, ახალი კლუბის ბაღში, გაიმართება სეირნობა**
ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.
საზოგადოების გამგეობა დახმარებასა სთხოვს ყველას. ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული და გაზეთში გამოცხადდება. 1201

ენერგიის წარმოების სხვაგვარ სისტემის შემოღების გამო,
მეტად ხელსაყრელ პირობებში
**იყიდება**
სრულიად უვნებელი და კარგად შენახული:
1) **ორი წყლის მილიანი ორთქლის ქვაბი:** გახურების სივრცე 40 ოთხკ. მეტრი, საქც. საზოგ.-ბის „ვ. ფიცნერ და კ. გამპერის“ ქარხნისა.
2) **ორთქლის მანქანა** 35 ინდ. ცხენის ძალით, ერთ ადგილას მდგარი, გემის ტიპისა. გერმანელ „KIELER MASCHINEN FABRIK“-ის ქარხნისა; თავისივე საბრუნებელი მანქანით (Валъ), რომელიც მუდმივი ელექტრონის 220 ვოლტი და 100 ამპერის ძალის დინამომაშინასთან არის შეერთებული, და
3) **ორთქლით მომუშავე წყლის ამოსაზიდი მანქანა.**
დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება: **ჭიათურაში, შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოში.** 1202

თამარ ტიმოთეს ასული, ალექსი მიხეილის ძე, ბარბარე და ნინო მიხეილის ასულნი ხატისკაცნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველი საყვარელი შვილის და უკანასკნელნი—საყვარელისა და დაუვიწყარ დის
**დომინას**
გარდაცვალებას. გამოსვენება სახლიდან, (კობის ქიმი, № 8, სახლი ჭიჭინაძისა), **15 მაისს,** დილ. 9 ს.-ზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის შემდეგ მიცვალებულს გაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი 14 მაისს, საღ. 7 ს. 279

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფია მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 0—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$2^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—[illegible].<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]. |
| ბავშვთა სნეულებ | ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. [illegible]<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12[illegible]—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10[illegible]—11.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შ ღავათიანი საფასურით. წ. 1035

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**
**მიხ. გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გახსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**
**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

**დოქტორი მედიცინისა**
**გ. ა. ახვერდოვი,**
**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **ხემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

**ექიმი** ქუთაისში
**ვ. თ. ტყეშელაშვილი.**
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

**ექიმი ე. ი. მინასიანცი**
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) პლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი** კბილისა
**ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

**ახალი კლუბი**
**სამშაბათს, 14 მაისს, „ახალი კლუბი“ საზაფხულო სადგომში გადავა.**
ნაშუადღევის 3 საათზე ხელის-მოწერით გაიმართება **ს ა დ ი ლ ი.** (სულზე 1 მ. 50 კ. საუზმითა და ერთი ჭიქა არყით ულვინოდ).
სადილის დროს **სიმებიანი ორკესტრი** დაუკრავს.
საღამოს 9 საათზ დასაწყისი პირველი საოჯახო საღამოსი საზაფხულო სადგომში.
**კონცერტი დიდი სიმფონიური ორკესტრისა**
**ვ. ზელიონის** ლოტბარობით.
სადილზე ჩაწერა შეიძლება კლუბის კანტორაში. სეზონის ბილეთები იყიდება კანტორაში დილის 9—2 საათამდე და საღამ. 9 ს. ღამ. 12 ს. 1162

**ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლი**
კვირას დილით, 26 მაისს, 1913 წ. ახლად დაარსებული
„ტფ. ქართვ. მუშათა მომღ. მგალობ. გუნდი“
**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით
პირველად გამართავს 3 განყოფილებად
**სახალხო კონცერტს**
(გუნდის ფონდის გასაძლიერებლად)
**ბილეთების ფასი სახალხოა.** გამგე: **ნიკ. კავსაძე.**
დაწვრილებით პროგრამებში და აფიშებში. დასაწყ. შუადღ. 12 ს. 282

**არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.**
დღეს, 14 მაისს, გაიმართება საჯარო ლექცია რუსულ ენაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორის **ი. ლ. ბედელიანისა.** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:
**„მოგზაურობა ინდოეთში 1912—13 წ.“**
ლექციას დართული ექნება ბუნდოვანი სურათები, რომლებიც ლექტორს თითონ გადუღია მოგზაურობის დროს.
**ადგილების ფასი 3 მ.-დან 30 კაპეიკამდე.**
ბილეთები იყიდება არტისტიულ საზოგადოების შვეიცართან და ლექციის დროს შესასვლელთან. 283

**„ტფილის. ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი“**
(შედგენილი და დაარსებული 1910 წ.)
**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით,
რომელიც შემდგარია 25—30 კაცამდის საკუთარ ქულაჯებით და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი, ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ და ევროპიულ სიმღერებს, „სოლო“-ებს, „დუეტ“-ებს, „ტრიო“-ებს, ქართლ.-კახურ ეკლესიურ გალობას **„ოქროპირის წირვას“;** იღებს მონაწილეობას კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე, წარმოდგენებზე სასიმღერო პიესებში და სხვაგან, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდი ასრულებს აგრეთვე პატარ-პატარა სცენებს სიმღერებით სოფლის ცხოვრებიდან და სხვა. მომავალ **კვირას, 19 მაისს,** გუნდი იგალობებს ანჩისხატის სობოროში, სადაც მწირველი ბრძანდება დეკანოზი **თალაკვაძე** კრებულით. 281

**იყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**
**კ ა ნ ო ნ ი**
გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით-ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში **ფასი 30 კ.**
თარგმანი და გამოცემა **ა. თ. ყიფშიძესი.**
ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით:
Тифлисъ. Книжный магазинъ О-ства Расп. Грамотности. 1198

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მებრაბიანცი**
**წამლობა ჭლექისა,** იღებს შინაგან სნე. პლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინითა, რადიის** პრეპარატებით და **პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია** ბუტურლინის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).
**ტელეფ. № 7—93.** 97
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.
ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.
**შპალიერის** (ОБОИ) ქარხანა
**ძმ. ტარნოპოლებისა.**
**განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.**
**მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.**
იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის $11/_4$ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.
**ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.** 1137

**საგურთალოზე**
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციასა. წ. 1020

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**
**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ $9^1/_2$ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$1^1/_2$ ს.
**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$ ს.
**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^1/_2$ ს.
**ვორობიევი.** შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ივ. გომართელი.** ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
**წამლობა „606“-ით** 1053


## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო)

**10 მაისის სხდომის შემდეგი**

**ფინანსთა მინისტრი.** ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ყოველ ქვეყანაში დიდ საზოგადოებრივ ინტერესს და კერძოდ საკანონმდებლო დაწესებულებათა გულის ყურს იწვევს. რადგანაც ხარჯთ-აღრიცხვა სარკეა, რომელშიაც ნათლად მოსჩანს სახელმწიფოს ფინანსიური ცხოვრება. ხარჯთ-აღრიცხვა პულსია, რომლის მაჯისცემაც გვამცნებს სახელმწიფო ორგანიზმის გაყინვას და აჩქარებულ მოქმედებას. ბიუჯეტისადმი ინტერესი მით უფრო ცხოველი და ძლიერია, როდესაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება ახალ საფუძველზე დგება, როდესაც დრომოჭმულ დაწესებულებათა ნაცვლად ახალი დაწესებულებანი იბადებიან, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას უნდებიან მცხოვრებთა ფართო წრეები თვის წარმომადგენელთა მეოხებით. საკანონმდებლო ძალის ახალი ფაქტორები სცდილობს გაამუქოს ახალის შუქით საბიუჯეტო მუშაობა და ხანდახან ცდილობს ხარჯთ-აღრიცხვის მეოხებით ძირიანად შესცვალოს სახელმწიფო ცხოვრების წესწყობილება. მართალია, როდესაც სახალხო წარმომადგენლობა შესტოპავს ხოლმე საბიუჯეტო მუშაობის და საკითხების გაუვალ სირთულეში, მაშინ რწმუნდება, რომ დიდი ცვლილების მოხდენა მხოლოდ სიტყვებითაა ადვილი, საქმით კი ძალიან ძნელი და შეუსრულებელია.

იგი საჩქაროდ უარჰყოფს საქმის ძირიანად შეცვლას და ადგება უფრო პრაქტიკულს და მიზანშეწონილ მუშაობას. ასე იყო მესამე სათათბიროში; იმედი მაქვს მეოთხე სათათბიროც შეითვისებს ამას, მით უმეტეს, რომ იგი უფრო უკეთეს პირობებში იმყოფება, მთელი შავი, ძნელი სამუშაო მესამე სათათბიროს ჰხვდა წილად. მაგრამ მესამე სათათბიროს ღვაწლი გაცილებით მეტია: მისი მეოხებით შესაძლებელი გაჰხადა ხარჯთ-აღრიცხვის საკითხის ახლო გაცნობა, მან გზა გაუკვლია ხარჯთ-აღრიცხვის გაუმჯობესობას; მუშაობაში მთავრობა და სახალხო წარმომადგენლობა ერთმანეთს დაუახლოვდა, შეეჩვია, განიმსჭვალნენ ერთმანეთის პატივისცემით და ხშირად ნდობითაც. მინდა ვირწმუნო, რომ მეოთხე სათათბიროც ამ გზას დაადგება. მთავრობა საბიუჯეტო კომისიაში ხელ-ჩართული ჰმუშაობდა სათათბიროსთან, ყოველივე სამსახური გაუწია და ეხლაც მზად არის სათათბიროსთან ერთად შეუდგეს მშვიდობიან, დინჯ მუშაობას. მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო წლებში ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა ძალიან გაჭიანურდება ხოლმე,

ამისათვის იგი ეცდება გვერდი აუხვიოს ყოველივე სადაო და სუბიექტიურ შეხედულებას, არ გაიმეორებს რიცხვებს, რომელიც დაწვრილებით გადასცა სათათბიროს ალექსეენკომ. 1908 წლიდან დაწყებული, სახელმწიფოს შემოსავლით ვისტუმრებთ ყოველივე ხარჯს, რასაც კი სახელმწიფოს საჭიროება მოითხოვს; შემოსავლით იფარება აგრეთვე არა-ჩვეულებრივი ხარჯიც, თუმცა ამ ბოლო დროს სახელმწიფოს მოთხოვნილებანი ფრიად გაიზარდა. მარტო ეს არის საკმარისი, რომ უკუ-ვაგდოთ უიმედო შეხედულება რუსეთის ფინანსიურს მდგომარეობაზე და ამ საგანს დამშვიდებულად და იმედიანად შევხედოთ. ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მოთხოვნილებათა ზრდა გამოიხატა 577.000.000 მანეთში. მინისტრი ამაში რაიმე ხიფათს ვერა ჰხედავს. ჯერ ერთი, ეს არა-ჩვეულებრივი ზრდა ხარჯისა დაკავშირებულია შემოსავლის ზრდასთან. და, მეორე, 1913 წ. წლ. ხარჯთა ზრდას ერთდროული ხასიათი აქვს. ასეთი ხასიათის არის 8.000.000 მანეთის გალებ ფლოტის საამშენებლო გეგმის შესასრულებლად და ბევრი სხვა რამ, რაც შემდეგ წლეებში უეჭველად შემცირდება. ხარჯთა ზრდა სრულიადაც არ შეარყევს ხარჯთაღრიცხვის სიმტკიცეს. ხარჯის 50 პროცენტი კულტურულ მოთხოვნილებას ემსახურება, 38%—სახელმწიფოს თავდაცვას და 12%—სხვა და სხვა ხარჯს. ამრიგად, 1908 წელს კულტურულ მოთხოვნილებას ჰფარავდა მხოლოდ 13 პროცენტი, 1913 წელს კი ამან 16 6/10% იმატა; ე. ი. საკულტურო საქმეებისთვის იმდენივე იხარჯება, რამდენსაც საფრანგეთი და ინგლისი ანდომებს ამ საქმეს.

მინისტრი შეუდგა შემოსავლის განხილვას და აღნიშნა, რომ ჩვეულებრივმა შემოსავალმა ხუთი წლის განმავლობაში 805,000,000 მანეთამდე იმატა; ამაში თითქმის 733,000.000 ბუნებრივად მიემატა. მხოლოდ 75,000.000 მ., გამოწვეულია ახალი გადასახადების დაწესებით ან ძველის გადიდებით. შემოსავლის ზრდის საშუალო რიცხვი, მესამე სათათბიროს გამონაკლისებით, გამოიხატება 70,800.000 მანეთში, ეხლა კი უდრის 14,600,000 მანეთს. თუ კი ჩვენი ეკონომიური ცხოვრების შეძლეგი მსვლელობა სახიფათოს არას გვიქადის, 1913 წელშიაც შემოსავლის საქმე კარგად იქნება დაყენებული. მინისტრი ახასიათებს არა-ჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვას და დასძენს: საზოგადოდ არა-ჩვეულებრივ რესურსებზე სიტყვის გაგრძელება არ გვიხდება, რადგანაც მისი ჯამი უდრის 10 მილიონ მანეთს; სამაგიეროდ არა-ჩვეულებრივ ხარჯთა ხასიათი ამ ხუთ წელში ფრიად შეიცვალა: ომის სალიკვიდაციო ხარჯის ნაცვლად არა-ჩვეულებრივი ხარჯთ-აღრიცხვა ჰხმარდება რკინის გზის საქმეს, ნავთსადგურის აშენებას და სხვას.

მეოთხე უდეფიციტო ხარჯთ-აღრიცხვა, მორიგ საკითხთა თვალსაზრისით, ფრიად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს. ეს საშუალებას აძლევს სახელმწიფოს იცხოვროს თავის სახსართა ფარგალში და შეძლებას გვაძლევს გამოვბრუნდეთ განვლილ ქარტეხილისაგან. უკანასკნელ დრომდე ჩვენ ფრიად ყაირათიანად ვიქცეოდით. თუ 1912 1913 წ. ამ გზას გადაუხვიეთ და ვაკმაყოფილებდით სახელმწიფოს მოთხოვნილებებს, სამაგიეროდ ახალი ლონისძიებანი აღმოვაჩინეთ სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვაში, ახალი ძალა შევმატეთ. ამ პირობების ზედგავლენით შეიქმნა რუსეთის ფინანსიური ეხლანდელი მდგომარეობა, რომელიც უიმედობას არ უნდა აღგვიძრავდეს. სახელმწიფოს შემოსავალი წინ უსწრობს ნავარაუდევ ხარჯთ-აღრიცხვას. ამ უკანასკნელ ხუთი წლის შემოსავალი ხარჯთ-აღრიცხვის ნავარაუდევს აღემატებოდა 751,000.000 მანეთით, 1908 და 1909 წლის სესხის დანარჩენთან ერთად ამ შემოსავალმა გაისტუმრა არა-ჩვეულებრივი ხარჯი 1,545,000,000 მანეთი, გარდა ამისა თავისუფალი თანხაც შესდგა. ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშიდან, დაწყებული 1907 წლიდან, სჩანს, რომ ჩვეულებრივი შემოსავალი ჩვეულებრივ ხარჯს აღემატება 141.300,000 მანეთით. ამ პირობებში თავისუფალი ნაღდი თანხა ამ წუთს უდრის 400.000,000 მანეთს.

ამ შედეგებს მივაღწიეთ ახალ გადასახადების შემოღებით, რომელიც უდრის მხოლოდ 7.500,000 მანეთს. და ეს იმ დროსა ხდება, როცა უფრო მდიდარი და უფრო კულტურიანი სახელმწიფონი აწესებენ ახალ-ახალ ას მილიონიან გადასახადებს. მაგალითად, გერმანიამ ერთ წელიწადში შემოიღო 150 მილიონი მანეთის გადასახადი. გერმანია ეხლა იმ აუცილებლობის პირას სდგას, რომლის წინაც ღმერთმა ნურასოდეს ნუ დაგვაყენოს: გერმანია აძლიერებს შეიარაღებულ ძალას. ფრიად გადაჭარბებულ ხარჯის დასაფარავად იგი მიჰმართავს იმ საშუალებას, რომელსაც არც ერთი სახელმწიფო არ მიჰმართავს ხოლმე—იგი ერთდროულად ახდევინებს შეძლებულ კლასებს ხარჯის თანაბარ გადასახადს. სამართლიანი არ არის ის საყვედური, ვითომც, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ უდეფიციტო ხარჯთ-აღრიცხვაზე, გვავიწყდება ხალხის მოთხოვნილებათა დეფიციტი. თუ კი ხუთი წლის განმავლობაში შემოსავალმა 600.000,000 მანეთით იმატა, სამაგიეროდ ხალხის მიერ წარმოშობილ მოთხოვნილებასაც საკმაოდ ვაკმაყოფილებდით. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1908 წლიდან ის დაწესებულებანი, რომელნიც საკულტურო საქმეებს ემსახურებიან, დამატებით იღებდნენ 46.500,000 მანეთს; ეს ფული თითქმის ორჯერ აღემატება სახელმწიფოს თავდაცვის ხარჯს. ფულის საქმე ჩვენში დაქვეითებული კი არ არის, არამედ უფრო მტკიცე ნიადაგზე სდგას, უფრო შეურყევლია. სათადარიგოდ გვაქვს 20.000,000 მანეთის ოქროს ფული. წვრილ კრედიტის ორგანიზაციას მეტი სიცოცხლე ეტყობა. ხალხის მიერ ფულის შენახვა თანდათან იზდება და მატულობს; თუ შემნახველ კასებში ფულის შეტანა მცირდება, ამის მიზეზი წვრილი კრედიტის განვითარებაში უნდა ვეძებოთ. 1908 წ., პირველ იანვარს, წვრილი საკრედიტო დაწესებულებათა რიცხვი არ აღემატებოდა 6,000, ეხლა კი მიმდინარე წლის აპრილში ამ რიცხვმა 16,200 მიაღწია. მინისტრი გადადის ხარჯთ-აღრიცხვის ცუდ მხარეებზე. ხარჯთ-აღრიცხვისთვის ფრად მავნე და სახიფათოა ზედმეტი ხარჯი, რომელსაც უნდა ერიდებოდეს ყოველი სახელმწიფო და საკანონმდებლო დაწესებულება. ხარჯთ-აღრიცხვის ზედმეტი ხარჯის გაღება მაშინ არის შესაწყნარებელი, როდესაც—გერმანელთა თქმულების არ იყოს—„საჭიროებამ არ იცის აკრძალვაო". ჭეშმარიტად, ხარჯთ-აღრიცხვის ზედმეტმა ხარჯმა არასასურველი განვითარება მიიღო. ხარჯთ-აღრიცხვის ზედმეტი ხარჯი მაშინ არ არის სახიფათო, როდესაც იგი ნავარაუდევია იმის მიხედვით, არის თუ არა სამაგიეროდ შენახული ფული, მაგრამ როდესაც ეს ორი ერთი მეორეს არ შეესაბამება, იგი სწორედ რომ სახიფათოა. 23 მილიონ მანეთიდან ხარჯთ-აღრიცხვის ზედ-მეტი კრედიტი უდრის 8,000,000 მანეთს, საკანონმდებლო დაწესებულებებმა მე-17 მუხლის ძალით გასცა კიდევ 12,000,000 მანეთზე მეტი, მინისტრი ნაკლების სიმპატიით ეკიდება მე-17 მუხლს (ხმები: „ვაშა!"). ხარჯთ-აღრიცხვის უმთავრესი ზედმეტი ხარჯი მოჰხმარდა იმ საჭიროებას, რომელმაც, მართლა არ იცის რა არის აკრძალვა. ყველაზე მეტი კრედიტი სამხედრო სამინისტროს მიეცა; თუმცა სამინისტროს ამის გასამართლებელი კანონ-პროექტები არ წარმოუდგენია სათათბიროსთვის, მაგრამ იგი წარმოადგენს, როცა კი საჭირო იქნება. ჩვენ უნდა ათი მილიონობით მიგვეცა სამხედრო სამინისტროსთვის გასულ წლის შემოდგომას, რათა იგი მომზადებულად წამდგარიყო საშიშ მოვლენათა წინაშე. ჩვენ რომ ამ შემთხვევაში მე-17 მუხლისთვის არ მიგვემართა, სათათბიროს წევრთა უმრავლესობა საყვედურით მიჰმართავდა მთავრობას. ცხოვრებაში ისეთი დრო და ხანი არის ხოლმე, როდესაც ფორმალური პირობები და შეფერხებანი გვერდზე უნდა გადაიდოს და ცხოვრების ჭეშმარიტ მოთხოვნილებას მიეგებოს. მეორე ცუდი მხარე ხარჯთ-აღრიცხვისა არის სავაჭრო ბალანსის გაუარესება. რასაკვირველია სადამოენო შემოსავლის სიდიდემ არ უნდა გაგვიტაცოს. უნდა იმისკენ მვიისწრაფოდეთ, რომ ჩვენი შემოსავალი უცხოთა მრეწველობის სასარგებლოდ არ მოჰხმარდეს. უნდა ვცდილობდეთ საკუთარ მწარმოებელთა ძალის გაძლიერებას. ამ მოსაზრებით, არ უნდა უყურებდეთ კაპიტალსა და მის ორგანიზაციას, როგორც მტერს. კაპიტალის უორგანიზაციოდ ქვეყანას სიცოცხლე არ შეუძლიან, მერე იმ დროს, როცა ჩვენი მეზობლები ესოდენ დარაზმულნი არიან, ძლიერნი.

მესამე ცუდი მხარეა კაპიტალის გაძლიერება, ქაღალდის დაცემა. ეს მოვლენა მსოფლიო ხასიათისაა; ჩვენ ფონდებს უფრო გაჭირვებული დრო გადაუტანიათ მშვიდობიანად, ვიდრე სხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ ფონდებს. საფინანსო ბაზარი ულმობელია; მას თავისი კანონები აქვს და ეს კანონები ჩვენს კეთილ სურვილებზე და ნებაზე მაღლა სდგას. ფონდების დაცემას მრავალი მიზეზი აქვს, რომელიც ჩვენი მიღწევის სფეროს გარეშე იმყოფება. პირველი მიზეზი ცხოვრების გაძვირებაა, მეორე—მსოფლიო ბაზარზე შეუჩერებელი საკამისიო მოქმედება სახელმწიფოთა, ქალაქებისა და სამრეწველოებისა. ეს მოვლენა სწრაფ-გარდამავალი როდია; არ მინდა წინასწარმეტყველებით სასოწარკვეთილების ნიადაგი მოვამზადო; მაგრამ არ ვიცი, რა გზით უნდათ ჩვენ მეგობარ სლავიანებს იშოვნონ ფული, როდესაც ზავის ჩამოგდების შემდეგ მოვლენ პარიზის ბირჟაზე, საცა მათთან ერთად თავს მოიყრიან ოსმალონი, ავსტრიელები, ჰუნგრეთელები, ბერძნები, რუმაინელები, ეს ჰმოწმობს, თუ რა ღრმა გონივრულად მოიქცა მესამე სათათბირო, როდესაც უარჰყო სესხი. ჩვენ არ გაგვიფლანგავს ფინანსიური ავლადიდება და ფართოდ ვაკმაყოფილებდით ხალხის მოთხოვნილებებს ექვსი ხარჯთ-აღრიცხვის განმავლობაში. ამით დავიცავით ჩვენი სალსართა თადარიგი, ხარჯთ-აღრიცხვის ძალთა თანაბარი განწყობილება. მაგრამ ჩვენ მოგველის მთელი რიგი მოთხოვნილებათა. უკვე მეშვიდე წელიწადია რაც სათათბიროში ახალი გადასახადები გადაწყვეტას მოელიან. ბევრს არ მოსწონს ისინი. გულახდილად, აშკარად უარჰყავით ისინი, მაგრამ ნუ კი შეაფერხებთ. თუ თქვენ არა, მაინც იტყვიან, რომ მთავრობას უნდა ჰქონდეს დამატებითი საშუალებანი, რათა უფრო ფართოდ დააკმაყოფილოს ცხოვრების საჭიროებანი, გადასახადთა თანაბარ და სამართლიან განაწილებით. მინისტრი ათავებს: რუსეთის მწარმოებელმა ძალამ, ეს მე ღრმადა მრწამს, შვიდი წლის განმავლობაში შეძლება მოგვცა წარსულიდან აწმყოზე გადმოვსულიყავით. რათა ეს აწმყო მყობადად იქცეს, საჭიროა ვირწმუნოთ მწარმოებითი ძალის ძლევა-მოსილმა. ამ მწარმოებელ ძალთა რწმენას, ნდობას მე კიდევ უმატებ რწმენას ერთ ფაქტორისადმი—საკანონმდებლო დაწესებულებათა მშვიდი მუშაობისა და მთავრობისა და მათ შორის თანხმობისადმი. მხოლოდ ამ შეთანხმებულ მუშაობით შეიძლება გავერკვიოთ ცხოვრების რთულ საკითხებში, რომელთა გადაწყვეტა და გაშუქება დაქსაქსულ ძალებით არც ისე ადვილია. აი ჩემი მოსაზრებანი, აი ჩემი რწმენის ალსარება. (ხანგრძლივი ტაში ცენტრისა).

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **მკვლელობა.** გუშინ, გათენებისას, ოლგას ქუჩაზე რევოლვერით მოჰკლეს მეეზოვე დავით აბრამის ძე ბიჩელაშვილი. იგი მეეზოვედ იყო გოგნიევის სახლისა (ოლგას ქუჩა, № 20). დილის 4 საათზე ბიჩელაშვილი მეორე სახლის მეეზოვემ გამოიხმო ხარით ქუჩის დასაგველად. როდესაც ეზოდან ქუჩაზე გამოვიდა, ამ დროს ვიღაც უცნობმა ოთხჯერ ზედი-ზედ მაუზერი ესროლა და იქვე მოჰკლა. უცნობი გაიქცა ჯვრისაკენ, გაირბინა მდინარე ვერა და ტფილისის საზღვრამდე მიაღწია. მას სროლით მისდევდნენ პოლიციელნი და მეეზოვენი, რომელთაც ბოლოს პლასტუნებიც მიემატნენ. ტფილისის საზღვარზე უცნობს ალყა შემოარტყეს და მოჰკლეს. უცნობის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. შეხედულობით 30 წლისა იქნება და ქართველსა ჰგავს.

✦ **საქალაქო სასწორი,** რომელიც არის სომხეთა ნერსესიან სემინარიის შენობის ეზოში, სალდათის ბაზარზე, 8 ივნისს, შუადღის 12 საათზე, იჯარით გაიცემა.

✦ **ქალაქის სასანიტარო-სამკურნალოს საბჭოს** 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დასრულდა. შემოსავალი ნავარაუდევია 90,000 მან. ხარჯი კი 335,000 მან. ამ რიგად ქალაქის კასამ საბჭოს შესანახად უნდა გაიღოს 245,000 მან.

✦ **მეფის მოადგილემ ნება დართო** „ტიფლ. ლისტოკ"-ის რედაქტორ-გამომცემელს ქრ. გრ. ხაჩატუროვს, თავის ხარჯით ერთი შეიარაღებული პოლიციელი იყოლიოს.

✦ **წესიერ დასვენების** ახალ სავალდებულო დადგენილებას ვაჭრები არ ემორჩილებიან. ამის გამო პოლიცმეისტერმა ბოქაულებს დაავალა, სასტიკად ადევნონ თვალ-ყური, რათა დადგენილებათა დარღვევა არ განმეორდეს.

✦ **„განათლების" საზოგადოების** სასარგებლოდ 12 მაისს ავლაბრის კლუბის საზაფხულო შენობაში საინტერესო სეირნობა გაიმართა, რომელმაც დიდ ძალი ხალხი მიიზიდა. შემოსავალი 600 მან. იყო.

✦ **ჭლექიანთა ამბულატორიის** შენობა (19 თებერვლის ქუჩა, № 46) 12 მაისს აკურთხეს. კურთხევას დაესწრნენ მეფის მოადგილის თანაშემწის მეუღლე მ. პ. ვატაცისა, სამკურნალო ნაწილის გამგე ბ-ნი ფეხნერი, მიხეილის საავადმყოფოს გამგე ბ-ნი გურკო, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი გ. ნ. სტეფანოვი, ექიმები და მრავალი ხალხი.

✦ **სამართალში მისცეს** თელავის მაზრის მცხოვრები მიხეილ მაინაშვილი და ყასაბი დარჩო ჯუღელოვი, რომელთაც პოლიციელთ ქრთამი შეაძლიეს.

✦ **უცნობ ქალის ძებნა.** 11 მაისს, დილის 11 ნახევარ საათზე, ნეკრასოვის ქუჩაზე უცნობი ქალი მიდიოდა, რომელსაც კატამ ხელზე უკბინა. ქალმა ნაკბენს ყურადღება არ მიაქცია და წავიდა. კატა ამის შემდეგ ძაღლსაც მივარდა. ამის გამო პოლიციელმა ექვი აიღო, კატა ცოფიანი ხომ არ არისო და თოფით მოჰკლა. კატა შეამოწმეს და მართლაც ცოფიანი აღმოჩნდა. ახლა პოლიცია დაეძებს უცნობ ქალს, რათა გააფრთხილოს, რომ კატა ცოფიანი იყო და საჭიროა წამლობა.

✦ **„ახალ კლუბში".** დღეს ახალი კლუბი" საზაფხულო სადგომში გადადის. კლუბის ბაღი წელს შარშანდელთან შედარებით შესამჩნევად გამშვენიერებულია.

ნაძალადევის სცენის მოყვარულთა წრის გამგეობამ კლუბის მამასახლისთა საბჭოს ნივთიერ დახმარებისათვის მიმართა. საბჭომ მიიღო მხედველობაში, რომ კლუბს ამ ჟამად თავისუფალი თანხა არა აქვს და დაადგინა, სთხოვოს კლუბის წევრთა მოჰავალ საზოგადო კრებას; გადასდოს ფული.

კლუბის ბიბლიოთეკა წელს შესამჩნევად გაფართოვდა. ამ დღეებში ბიბლიოთეკისთვის შეიძინეს 1,500 ცალი ქართული წიგნი. ამ რიცხვში შედის ყველა ის თვალ-საჩინო წიგნი, რომელიც ქართულ ენაზე გამოსულა 80 წლებიდან დაწყებული. ბიბლიოთეკამ აგრეთვე შეიძინა 500 ცალი საუკეთესო რუსული წიგნი.

ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ კლუბის მამასახლისთა საბჭოს სთხოვა, დაუთმოს კლუბის ბაღი სეირნობისათვის 26 მაისს. საბჭომ ერთხმად დაადგინა, ბაღი უფასოდ დაუთმოს.

✦ **იკოთის ტაძარი.** ტფილისში შესდგა საგანგებო კომიტეტი, რომელმაც მიზნად დაისახა, აღადგინოს საქართველოს დიდებული ნაშთი—იკოთის უძველესი ტაძარი. განსაახლებლად კომიტეტს 3,000 მან. აქვს გადადებული.

✦ **მახათას მთაზე** უკანასკნელ ხანს დიდ-ძალი ხალხი დასახლდა. მიწები შეიძინეს ბებუთოვებისაგან, ხოლხოვებისა, მირზოევებისა, ბარსკისა და სხვათაგან. მცხოვრებნი საგრძნობ გაჭირვებას განიცდიან იმის გამო, რომ ქალაქის გამგეობა ამ ადგილს ნაკლებ ყურადღებას აქცევს: პლაკატები არსად არ არის, სახლები დღემდე არ არის დანომრილი და მცხოვრებნი ამის გამო წერილებსაც ვერ იღებენ. საჭიროა, ქალაქის გამგეობამ ამ ადგილს მოწყალე თვალით შეხედოს.

✦ **ქართულ მუზეუმში.** 12 მაისს ორმოცამდე ქართველი მუშა ქართულ გიმნაზიაში მივიდა და სურვილი განაცხადა ქართულ მუზეუმის დათვალიერებისა. მუშების სურვილს თანაგრძნობით მიეგება გიმნაზიის მასწავლებელი შ. ქარუმიძე, რომელმაც მუზეუმი დაათვალიერებინა და შესაფერი ახსნა-განმარტება მიაწოდა.

✦ **სასალახოს გარშემო.** როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭომ ხმოსან ი. გ. სულაბერიძის საქციელი გაჰკიცხა თავის დადგენილებაში. დადგენილება გუბერნატორმა თავის მხრივ არ დაამტკიცა და საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს გადასცა შემდეგ საკითხის გადასაწყვეტად: ჰქონდა თუ არა ქალაქის საბჭოს ხმოსნის საქციელის გაკიცხვის ნება. ეს საკითხი საკრებულოს 11 მაისს უნდა განეხილა, მაგრამ გადასდო იმ დრომდე, სანამ პეტერბურგიდან არ მიიღებს სენატის იმ უკანასკნელ განმარტებებს, რომელიც ამისთანა შემთხვევებს შეეხება.

✦ **ქართული გალობა.** კვირას, 19 მაისს ქართული მომღერალ-მგალობელთა გუნდი, ბ. მიხ. კავსაძის ლოტბარობით, პირველად იგალობებს ანჩისხატის ტაძარში. იგივე გუნდი იგალობებს ამ დღიდან ყოველ კვირა დღეს იმავ ტაძარში.

✦ **ქურდობა.** შაბათს, 11 მაისს, ღამის 2 საათზე, სუდებნის ქუჩაზე № 14. ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა გაქურდეს სიმონ პეტრეს ძე რუსიევის ქარხანა. წაიღეს დაახლოვებით 150 მანეთის ნივთები.

✦ დედათა საეპარქიო სასწავლებლის ეკონომი **მღვდელი თომა უსეინაშვილი** გორში გადაიყვანეს ოქონის ეკლესიის მღვდლად. მის ადგილს დაინიშნა ოქონის ეკლესიის მღვდელი ლუკიანოვი.

✦ **უწმ. სინოდმა** 230 მან. პენსია დაუნიშნა ანჩისხატის ტაძრის წინამძღვრად ნამყოფ დეკანოზ ზუმბულიძის ქვრივს.

✦ დღეს არტისტულ საზოგადოების დარბაზში ბ-ნი ბედელიანი წაიკითხავს ლექციას თავისი მგზავრობის შესახებ ინდოეთში.

✦ ტფ. გუბერნატორმა ნება დართო გარეგინ აირაპეტის ძე ტერ-ავეტიკიანცს გაზეთის საშუალებით გამოაცხადოს, რომ იგი უკიდურეს გაჭირებას განიცდის. შეწირულების გაგზავნა შეიძლება გაზეთ „ზნაკ ტიფლისას" რედაქციაში (დიდი ვანქის ქუჩაზე).

### საზოგადოებანი და კრებები

✦ ოთხშაბათს, მაისის 15-ს, საღამოს 7 საათზე, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქუჩა, № 2), მოხდება საზოგადო ჩვეულებრივ კრება **„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების"** წევრებისა. საგანი კრებისა: 1. ალ. სვანიძის მოხსენება „ასურული წარწერები ქართველ ტომების შესახებ და მათი განმარტებანი" და 2. ახალ წევრების არჩევნები. კრებას გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

✦ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.** დღეისთვის, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია საზოგადოების საბჭოს საგანგებო კრება, რამდენიმე საჩქარო საგნის განსახილველად.

✦ **ქალაქის საკრედიტო საზოგადოების** საგანგებო კრება დღეისთვის არის დანიშნული, საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ასარჩევად ნაცვლად ბ-ნ ლამბაროვისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

✦ **ჭლექიანთათვის დახმარების აღმომჩენ კომისიის** კრება დღეს მოხდება ქ-ნ მ. პ. ვატაცის თავმჯდომარეობით. კომისია შეიმუშავებს დებულებას ჭლექიანთა ამბულატორიისთვის, რომლის შენობაც დაქირავებულია თვეში 120 მან.

✦ **ხარფუხის საზოგადო კლუბი.** შაბათს 11 მაისს, მუსულმანთა აუდიტორიაში, პ. გოთუას თავმჯდომარეობით შესდგა დამფუძნებელი კრება ახლად ნება დართულ საზოგადო კლუბისა. წაკითხულ იქმნა გუბერნატორის მიერ დამტკიცებული წესდება და შემდეგ განხილულ იქმნა საკითხი, რომელი შენობა დაიქირაონ კლუბის გასამართავად. კრებამ ერთხმად დადგინა რომ როგორც უფრო მოხერხებული, მეხუთე საპოლიციო ნაწილის ცენტრში არსებული და კლუბისთვის შესაფერისი—დაიქირაოს მეორე სართული ეხლა ქალაქის კუთვნილ შიოევის მამულისა, აბანოს ქუჩაზე ხარფუხის ქართული დრამატიული წრისაგან, რომელიც ხსენებულ მამულის მოიჯარადრეა. შენობა გადაკეთდება. სხვათა შორის, მოაწყობენ თეატრს 300 კაცისათვის. სხვა კითხვების გასარჩევად და მამასახლისთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ასარჩევად კრება გადაიდო კვირას 19 მაისისათვის, რომელიც განაგრძობს სხდომას იმავე მუსულმანთა აუდიტორიაში, დილის 11 საათზე.

# ქუთაისის ამბავი

მოგეხსენებათ ჭლექთან მებრძოლი ახლად დაარსებული საზოგადოება ენერგიულად შეუდგა თავის საქმეს. პირველ ყოვლისა მოქმედება იმაში გამოიხატა, რომ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დაბებსა და ქალაქებში თეთრი ყვავილის დღე მოაწყო და ამით თავისი საშუალებანი გააძლერა.

ძნელია, რასაკვირველია, ბევრი მოსთხოვოს კაცმა ისეთს დაწესებულებას, რომელიც ეხლახან დაარსდა, მაგრამ არიან ისეთი გარემოებანი, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი დაწესებულებანი ვალდებულნი არიან გაჭირვებულთ დაეხმარონ, ხოლო ასეთ გაჭირვებულად ჩვენ მიგვაჩნია მთელი არმია დაჭლექებული ხალხისა ქუთაისის გუბერნიის სატუსაღოში.

აქ, როგორც მოგეხსენებათ, მცხოვრებთა რიცხვი ერთი-ორად აღემატება წინდაწინვე განზრახულ ნორმას. სივიწროვე ჰბადებს სხვა და სხვა სენის გავრცელებას და მათ შორის განსაკუთრებულად გავრცელებულია ჭლექი, რომელსაც ჰრავალი მსხვერპლი ეწირება სატუსაღოს საავადმყოფოს მოუწყობლობისა და თვით ტუსაღთა ცხოვრების განსაკუთრებული პირობების გამო.

გადახედოს ჭლექთან მებრძოლ საზოგადოების გამგეობამ ამ გაჭირვებულთ და იქნება მცირეთ მაინც შეუმსუბუქონ ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც არიან სხვა მხრითაც დასჯილნი. ვფიქრობთ, რომ საშუალების გაღება სატუსაღოს საავად-მყოფოს რეჟიმის გასაუმჯობესებლად, დაეხმარება ტუსაღების მძიმე და აუტანელ მდგომარეობას.

*

ეს არის ეხლა ქუთაისში დეპეშით მოვიდა ამბავი, რომ ფოთში სოხუმიდან ქუთაისში წამოსული წევრი ქუთაისის ბანკის დამფასებელი კომისიისა დავით წულუკიძე უეცრად გარდაიცვალაო. დათიკო წულუკიძეს ქუთაისის საზოგადოება კარგათ იცნობს და მისმა სიკვდილმა საერთო გულწრფელი მწუხარება გამოიწვია.

განსვენებული ქუთაისში დაბინავდა 1886 წელს და მას აქეთ მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველ საზოგადო და საკულტურო საქმეში. მან იმთავითვე თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ქუთაისის ინტელიგენციის პროგრესიულ ნაწილში და არც ერთხელ არ უღალატნია თავის მოვალეობისთვის. უკანასკნელად განსვენებული საადგილ-მამულო ბანკში მდივნობდა, შარშან ზაფხულში იგი დამფასებელი კომისიის წევრად აირჩიეს და მაშინდელს აქეთ სოხუმში დაბინავდა. აქ დაავადდა და იმდენად დასუსტდა, რომ ზღვით მოგზაურობა ვერ აიტანა და ფოთში მოსვლისათანავე უეცრად გარდაიცვალა.

# სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში

ოთხშაბათს, 8 მაისს, საზოგადოების საბჭოს კრება მოხდა, კრებას თავმჯდომარეობდა **თ-დი დ. ჩოლოყაშვილი.** კრებას საბჭოს ყველა წევრი დაესწრო. კრებამ განიხილა ს. ციციშვილის განცხადება, რომ მას ჰსურს საბჭოს ერთ-ერთ კრებაზე წაიკითხოს მოხსენება: „საქართველოს ტერიტორიის მინერალურ სიმდიდრის გამოკვლევის და მოხმარების გეგმა". საბჭომ დაადგინა: მოხსენების წინასწარი გაცნობა მიენდოს ბ-ნთ იოსელიანს, ვაწაძეს და რცხილაძეს; თუ ეს კომისია მოხსენებას მოიწონებს, კონსპექტი გამოცხადდეს გაზეთის საშუალებით, რათა მსურველთ შეეძლოთ გაეცნონ და მოვიდნენ კრებაზე. თვით კრება კი, სანამ ამ მოხსენებას განიხილავენ, დაინიშნა სამშაბათს, 14 მაისისათვის. *)

შემდეგ საბჭომ მოისმინა **ვ. რცხილაძის** განცხადება, რომ საჭიროა გარედ კახეთში, ივრის ხეობაში, ისეთივე თათბირი გაიმართოს, როგორც თელავში მევენახეობის შესახებ; მხოლოდ განზრახული თათბირი შეეხება სოფლის მეურნეობის ყველა დარგს; და გამოიკვლევს ყველა დარგში საჭიროებას. მომხსენებელმა ვრცლად დაასაბუთა თავისი განცხადება. კრებამ მცირე კამათის შემდეგ ეს წინადადება მიიღო და დაადინა: მეურნეობის თათბირი გაიმართოს გარეთკახეთში შემოდგომაზე; ხოლო როდის და რომელ სოფელში—ეს საბჭოში შემდგომ გადაწყდეს. შემდეგ კრებას **ვ. რცხილაძემვე** წინადადება წარუდგინა, რომ საჭიროა საბჭომ დანიშნოს რაიონებში წასვლა, ადგილობრივ მეურნეთა და მეურნეობის გასაცნობად, რათა შესაძლებელი გახდეს ადგილობრივ ძალების შეკავშირება. კრებამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ წინადადება ერთხმად მიიღო და დაადგინა, კომისიები გაიგზავნოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთს ალაგს 3 კაცზე მეტი არ წავიდეს, ვინაიდან მეტ-რიცხოვანი კომისიები პრაქტიკულად სოფლებში დაბრკოლებებს ნახავს. სადღეისოდ კი იმის გამოსაკვლევად იმ ადგილებისა და სოფლებისა, სადაც პირველ თავშივე სასურველია წასვლა, როდის ან ვინ წავიდეს, არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შედიან: ბ-ნნი: მელია, იოსელიანი, დიასამიძე და და რცხილაძე.

შემდეგ კრებამ განიხილა ვ. რცხილაძის განცხადება იმის შესახება, რომ თანახმად საბჭოს წარსული წლის გადაწყვეტილებისა და თანახ-

*) მოხსენება კომისიამ 9 მაისს განიხილა და მოიწონა.

მაღ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ მუხლისა, საჭიროა აირჩეს კომისია, რომელიც მოამზადებს საჭირო მასალებს და მოსაზრებებს, სად და როგორ გაიმართოს დემონსტრაცია გუთნებისა და იარაღებისა. ამის გამო კრებამ კომისიაში აირჩია: ბ-ნნი ყაზახაშვილი, მელია, ხუნდაძე, ვაჩნაძე, ამირაჯიბი და რცხილაძე და იმათ დაავალა საკითხის ყოველ-მხრივი შესწავლა და გამორკვევა. ბოლოს საბჭომ განიხილა **ლ. დიასამიძის** წინადადება: საჭიროა განსაკუთრებული სტიპენდიები საგრონომიო მოღვაწეების მოსამზადებლად. მცირე კამათის შემდეგ გადასწყდა, წინადადების შემომტანს მიენდოს შემუშაოს საკითხი და წერილობითი მოხსენება წარმოადგინოს საბჭოში განსახილველად და შემდეგი ნაბიჯის გადასადგმელად. კრება ღამის 11 საათსა და 43 წუთზე გათავდა.

## თავ-აზნაურთა საგანგებო კრება

კვირას, 12 მაისს, ქართულ თეატრში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოხდა. კრება გაიხსნა დილის 12 საათზე და 5 წუთზე, გუბერნიის წინამძღოლის თავ. **კ. აფხაზის** თავმჯდომარეობით. თავ. კ. აფხაზმა მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად.

„ჩემი თანამდებობის აღსრულება უნდა დავიწყო ფრიად სამწუხარო ამბის მოხსენებით. ამ წლის მარტში საქართველომ დიდი დანაკლისი განიცადა. მის მოღვაწეთა მცირე გუნდს გამოაკლდა თავ. არჩილ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე. სიკვდილმა ბოლო მოუღო ამ საუცხოვო ადამიანს. მისი დიდი, მთლიანი რაინდული ფიგურა იმდენად ღირსშესამჩნევი იყო ჩვენი მავბედი ცხოვრების ფონზე, რომ ყველას მხედველობას იპყრობდა იგი. თავისი ლამაზი სიცოცხლით მან გვაჩვენა, თუ როგორ უნდა იცხოვროს კაცმა. სამშობლოსადმი განუსაზღვრელი სიყვარულით გატაცებული, სულითა და გულით მხოლოდ იმასა სცდილობდა, რომ მისი კეთილდღეობისათვის რაიმე სამსახური გაეწია; იგი მედგარი მებრძოლი იყო თავის სამშობლოს კეთილდღეობისა. მთელი მისი სიცოცხლე ამიტომ იყო ბრწყინვალე, რაინდული, პოეზიით და სილამაზით სავსე. იგი გარდაიცვალა, მაგრამ სამშობლოს უახდოება საუცხოვო ნაწერები. მომაკვდინებელი სენით შეპყრობილს ფიქრადაც არ მოსვლია უშმობისათვის თავი მიენებებინა. ყველა დაწერილი სტრიქონი მას აცლიდა კვირისა და თვის სიცოცხლეს. სიკვდილის წინ მან შეჰქმნა საუცხოვო მონოგრაფია დიმიტრი ყიფიანის შესახებ. სასიკვდილო სარეცელზე მდებარე მხოლოდ იმაზე ჰფიქრობდა, რომ ცოტა რამ კიდევ მეტი დაეტოვებინა საყვარელ სამშობლოსათვის. იგი ევედრებოდა განგებას კიდევ რამდენიმე დღის სიცოცხლეს, რათა დაესრულებინა მონოგრაფია ილია ჭავჭავაძის შესახებ. ასეთი ადამიანი საუკუნოდ მოგვშორდა. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მის ბრწყინვალე ხსოვნას“.

ყველანი ადგნენ. შემდეგ თავმჯდომარისავე წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ივანე ჯაბადარის ხსოვნას.

**თავ. კ. აფხაზმა.** სანამ კახეთის რკინის გზის საკითხის განხილვას შეუდგებოდა, კრებას გააცნო შემდეგი განკარგულება. მოსკოვის დღესასწაულებზე მეფისათვის თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს საჩუქარი უნდა მიერთმიათ. ამაში მონაწილეობა უნდა მიეღო ყველა გუბერნიის თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს. წარმომადგენლებად საკრებულომ აირჩია: თავ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი და ნ. საგინაშვილი. თუმცა დეპუტატები საგანგებო კრებას უნდა აერჩია, მაგრამ დრო აღარ იყო. ამიტომ საკრებულო კრების სანქციას თხოულობს. კრებამ დაადასტურა საკრებულოს არჩევანი.

შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კრება შეუდგა კახეთის რკინის გზის საკითხის განხილვას. ამ საქმის გამო დეპუტატთა საკრებულომ კრებას მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში ვრცლად არის აწერილი, თუ როგორ იმოქმედა საკრებულომ ამ ბოლო ხანებში.

მდივანმა წაიკითხა დეპუტატთა საკრებულოს მოხსენება. ამ მოხსენებაში აღნიშნულია მთელი ისტორია კახეთის რკინის გზისა ბოლო ხანამდე. თავად-აზნაურობის მუდმივი სურვილი იყო, კახეთის რკინის გზის სრული მფლობელი ყოფილიყო; ამის გამო როდესაც სიღნაღ-ბაქოს გზის შეერთებაზე დაიწყო ლაპარაკი, თავად-აზნაურობამ საჭიროდა სცნო ყოველი ღონისძიება ეხმარა, რათა ერთხელ მიღებული პოზიცია დაეცვა. ბოლოს, როდესაც საკითხი განსახილველად სახელმწიფო საბჭოში გადავიდა, საკრებულომ დაღინა აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც პეტერბურგში წავიდოდა და სახელმწიფო საბჭოში ამ პოზიციას დაიცავდა. ამ მიზნით დეპუტატთა საკრებულომ 7 თებერვლის კრებაზე აირჩია: თავ. მ. ჭავჭავაძე, თავ. დ. ჩოლოყაშვილი და თავ. დ. გურამიშვილი. ამათგან პეტერბურგს გაემგზავრნენ თავ. გურამიშვილი და ჩოლოყაშვილი. მალე მათ მიერ გამოგზავნილ დეპეშებიდან გამოირკვა, რომ რუსეთ-აზიის ბანკი თანახმაა შეუთანხმდეს თავად-აზნაურებს, საკითხის საბჭოში განხილვამდე. თავ. ჩოლოყაშვილი ტფილისს 22 მარტს დაბრუნდა და თან ჩამოიტანა ბანკთან შეთანხმების სქემა, რომლის ძალით თავად-აზნაურობას ეხლავე უნდა ეყიდნა აქციები 550 ათას მანეთისა, ბანკი კი გზების შეერთებაზე უარს ამბობდა. ამ სქემაში აღნუსხული იყო დიდი ჯარიმა ამ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე მხარე დაარღვევდა ხელშეკრულობას. დეპუტატთა საკრებულომ 1913 წლის 27 მარტს გამართა კრება და აირჩია ორი კომისია: იურიდიული, რომელსაც ამ საკითხის დეტალური განხილვა მიენდო და ფინანსიური— 550,000 მანეთის აღმოსაჩენ სალსრების გამოსაძებნელად. მხოლოდ 3 აპრილს დ. გურამიშვილისაგან დეპეშა მოვიდა „ხელშეკრულება დადებულია. უჯარიმოდ. ყველა ჩვენი სურვილები შესრულებული იქნება“.

26 აპრილს დ. გურამიშვილის დაბრუნების შემდეგ, მოხდა წინამძღოლთა და დეპუტატების კრება, ამ კრებას დ. გურამიშვილმა წარუდგინა წერილობითი მოხსენება, რომელშიაც არკვევდა, თუ როგორ შეასრულა თავად-აზნაურობის მინდობილი საქმე. ამ მოხსენებას დაეთანხმა დ ხელი მოაწერა მეორე რწმუნებულმა დ. ჩოლოყაშვილმაც. ეს ხელშეკრულობა, რომელიც დაიდო 1913 წლის 6 აპრილს, შემდეგი შინაარსისაა:

„ს. პეტერბურგი. 1913 წელი. 6 აპრილი. დამატებით და შესაცვლელად იმ ხელშეკრულობისა, რომელიც დაიდო რუსეთ-აზიის ბანკსა და თავად აზნაურობის შორის კახეთის რკინის გზის თანხების განაღდების შესახებ, ბანკი და თავად აზნაურობა შემდეგ მუხლებით შეთანხმდნენ:

1) ხელშეკრულობის მე-7 მუხლის მიხედვით კახეთის რკინის გზის აქციებს, 550 ათას მანეთად ღირებულს, ნომინალურ ღირებულებით თავად-აზნაურობა კვლავ ყიდულობს თავის საკუთრებად, ბანკი კი მიჰყიდის მას ნომინალურ ფასად იმ დროს განმავლობაში, რომელიც აღნიშნულია ქვემოდ (მუხ. 4).

2) ამ აქციების ფასი, 550000 მან. თავ.-აზნაურობ ვალდებულია შეიტანოს ბანკში არა უგვიანეს 1913 წლის 1 ნოემბრისა. თუ ამ დროს განმავლობაში თავად-აზნაურობამ ეს არ შეასრულა, მაშინ მას უფლება აქვს ეს თანხა 1914 წლის 1 აპრილამდე შეიტანოს, მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში, 1913 წლის 1 ნოემბრიდან ფულის გადახდამდე, თავ.-აზნაურობა ვალდებულია ბანკს აძლიოს ამ თანხის 5 პროც. წლიური. თუ 1914 წლის 1 აპრილამდე რუსეთის იმპერიას შეიარაღებული კონფლიქტი მოუხდება რომელიმე სახელმწიფოსთან, ზემოდ აღნიშნული ვადა ფულის გადახდისა. (1914 წლის 1 აპრილი.) გაგრძელებული იქნება ექვსი თვით.

3) ბანკი, როგორც მფლობელი კახეთის რკინის გზის საზოგადოების აქციებისა აშენების პერიოდში, კისრულობს ვალდებულებას, რომ კახ. რკ. გზის საზოგადოება არავითარ გარემოებაში არ შეუდგება სიღნაღ-ბაქოს რკინის გზის შენებას და საზოგადოების გამგეობის მიერ ფინანსთა სამინისტროს რკინის გზის დეპარტამენტში შეტანილი განცხადება 1913 წლის 28 მარტის რიცხვით № 2148, რომლითაც მან უარი განაცხადა წესდების შეცვლის გამო, დამტკიცებული იქნება კახეთის რკინის გზის აქციონერების საზოგადოება უახლოვეს კრების მიერ. ამასთანავე ერთად ბანკი კისრულობს ვალდებულობას, რომ სანამ აზნაურობას არ ჩაბარებს 1 მუხლის ძალით ნაყიდ აქციებს 5500 ცალს, კახ. რკ. გზის საზოგადოება არ აღძრავს შუამდგომლობას წესდების არც ერთ მუხლის შეცვლის შესახებ, ან საზოგადოების ძირითადი თახის გადიდების შესახებ, თუ ამას შესახებ თავად-აზნაურობისაგან წერილობითი თანხმობა არ ექნება. ყველა დანარჩენებში ბანკი აქციების ჩაბარებამდე, ამ აქციების კანონიერი მფლობელია.

4) ამ შეთანხმების პირველი მუხლის ძალით შეძენილი თავ.-აზნაურობას მიერ 5500 ცალი აქციებსა ბანკმა თავ.-აზნაურობას უნდა ჩააბაროს, აზნაურობას სრულ განკარგულებაში, კახეთის რკინის გზაზე, ნამდვილ მოძრაობის გახსნის ერთი თვის შემდეგ, ჩაბარების დროს მიმდინარე აქციების კუპონებით.

5) აქციების უზრუნველყოფილი 3% წლიური შემოსავალი, სანამ თავად-აზნაურობა სრულიად არ შეისყიდის მათ 1 მუხლის ძალით, ბანკის სრულ საკუთრებას შეადგენს. იმ დღიდან კა, როდესაც თავ.-აზნაურობა ამ აქციების გამოსასყიდელ თანხას გადაიხდის, აღნიშნული 3% შემოსავალი თავ.-აზნაურობის საკუთრებას შეადგენს.

6) 1910 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულობის დანარჩენი ნაწილი ისევ ძალაში რჩება“.

6 აპრილის ხელ-შეკრულობა და მასთან დაკავშირებული იურიდიული და საფინანსო საკითხები განხილული იყო წინამძღოლთა და დეპუტატების მთელ რიგ კრებას მიერ და ბოლოს შემდეგი გადასწყდა:

I. მოიწონონ ხელშეკრულება 1913 წლის 6 აპრილისა, რომელიც დადებულ იქმნა რუსეთ-აზიის ბანკისა და თავ. დ. გურამიშვილის შორის და წარმოდგენილ იქმნას იგი საგუბერნიო კრების განსახილველად.

II. დეპუტატებისა და წინამძღოლთა საკრებულო სთვლის, რომ 1913 წლის 6 აპრილის ხელშეკრულება უზრუნველ-ჰყოფს თავ.-აზნაურობას, როგორც კახეთის რკინის გზის აქციების მფლობელს.

ამის შემდეგ კრებაზე განხილულ იქმნა საკითხი ფინანსის მხრივ და მოწონებული იქმნა უგ. თავ. გ. ა. გრუზინსკის მიერ წარმოდგენილი გეგმა. გეგმა ცოტა შეცვლით საკრებულომ წარუდგინა დასამტკიცებლად საგანგებო კრებას. ამ პროექტის მიხედვით, უნდა დაგირავდეს თავად-აზნაურობის სახლი (სასახლის ქუჩაზე მდებარე) ისეთის ვადით, რომ შესაძლებელი გაჰხდეს 5500 ცალი აქციის გამოსყიდვა. ამ დადგენილებათა მიხედვით დეპუტატთა საკრებულომ საგანგებო კრების განსახილველად წამოაყენა მთელი რიგი კითხვებისა, რომელთაც ანგარიშში ცალკ-ცალკე დავასახელებთ. წაკითხული იქმნა აგრედვე დ. გურამიშვილის მოხსენება, ამ საქმის ფინანსიური მოწყობის შესახებ და თავ. მ. ანდრონიკაშვილს განსაკუთრებული აზრი.

თავ. **დ. ჯორჯაძე**, მოხსენებაში ნათქვამია, რომ განხილული იყო იურიდიული კომისიის მოხსენებათ და კრებას კი ეს არ მოხსენდა.

თავ. **გ. ამირაჯიბი** აფართოებს დ. ჯორჯაძის წინადადებას. საჭიროა ორივე კომისიის აზრის გაგება.

თავ. **კ. აფხაზი.** საფინანსო კომისიის მოხსენება უკვე მოჰხსენდა კრებას და იურიდიულსას კი ეხლავე მოგახსენებენ. მთელი მოხსენების გაგება გსურთ, თუ მხოლოდ რეზოლიუციის ნაწილისა?

კრების უმრავლესობამ რეზოლიუციის გაგება მოისურვა.

**მდივანი** კითხულობს რეზოლიუციას, რომელშიაც ნათქვამია, რომ თავ. დ. გურამიშვილის რწმუნებულობა უკანონოა.

მოხსენებების წაკითხვის შემდეგ, დაიწყო კამათი პირველი საკითხის გამო: მოისურვებს თუ არა საგანგებო კრება მიიღოს და დაამტკიცოს ხელშეკრულობა, რომელიც დასდო საკრებულოს მინდობილობით თავ. დ. გურამიშვილმა რუსეთ-აზიის ბანკთან?

**ა. ჯანჩელი.** ლაპარაკობს საკითხის დასმის გამო.

თავ. **კ. აფხაზი.** ორატორსა ჰსურს გაიგოს, თუ როგორ შეხედა საკრებულომ ამ ხელშეკრულობას; როგორც იურიდიული პირის მიერ დადებულს თუ არა? დეპუტატთა საკრებულო, როგორც თქვენი აღმასრულებელი ორგანო, ვალდებულია ყოველი საკითხი განიხილოს და კრებას თავისი დასკვნით წარუდგინოს. დეპუტატთა საკრებულო ჰფიქრობს, რომ საჭიროა ამ ხელშეკრულობის მოწონება. კრების უფლებაა, საბოლოოდ გადასწყვიტოს საკითხი.

**ა. ყანჩელი.** საკითხების ნუსხიდანა სჩანს, რომ თავდაპირველად აპირობენ გადაწყვეტას იმ საკითხისა, მისაღებია თუ არა ხელშეკრულობა. ამ რიგად კრებამ ჯერ უნდა გადასწყვიტოს ხელშეკრულების მიღების საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ გადავა იმაზე, თუ რა გზით მოხდება ამ ხელშეკრულების განხორციელება. ამის გადაწყვეტა ცალკე შეუძლებელია. ეს ორი საკითხი იმდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი ცალკ-ცალკე განხილვა შეუძლებელია. ისეთი მდგომარეობა იქნება, თუ ხელშეკრულობას მოვიწონებთ და დავამტკიცებთ, მაშინ ძალაუნებურად მისი შესრულებისათვის საშუალებანიც უნდა აღმოვაჩინოთ. ხელშეკრულობის მოწონება, მის შესრულებასაც გულისხმობს. ამიტომ საჭიროა ამ საკითხებს ერთად შევეხოთ.

**კ. სვიმონიშვილი** იმის წინააღმდეგია, რომ ეს საკითხი კრების გადასაწყვეტად იყოს წამოყენებული. დეპუტატთა საკრებულო თავად-აზნაურობის წარმომადგენელია, რწმუნებულია. კრება უნდა დაეთანხმოს და მოიწონოს ის, რასაც საკრებულო გააკეთებს

**თავ. ი. ბარათაშვილი.** საკითხი საერთოდ არის წამოყენებული. კრებამ ეს საკითხი არსებითად უნდა განიხილოს, ყოველის მხრით შეეხოს მას და არა მის რეზოლიუციურ ბოლოს. კრებამ მთელი ხელშეკრულობა უნდა განიხილოს.

**თავ. კ. აფხაზი.** ამაში ეჭვი არ არის; დასმულია განსახილველად პირველი საკითხი და შეიძლება მასთან საჭირო მასალასაც შევეხოთ.

**თავ. გ. ამირეჯიბი.** ბუნებრივია, რომ კრება უნდა დაუბრუნდეს იმ საკითხს, რომელიც წამოყენებულ იქმნა დასაწყისშივე: რას წარმოადგენს ერთის მხრით კრება და მეორე მხრით საკრებულო. წინამძღოლნი და დეპუტატები კახეთის რკინის გზის საკითხის გადაწყვეტაში დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, რწმუნებულობით აღჭურვილნი. ფინანსიურად მოწყობა ამ საკითხისაც მათი უფლებაა. თუ კი საკრებულო სცნობდა, რომ მას უფლება ჰქონდა რუსეთ-აზიის ბანკთან დამატებით ხელშეკრულება დაედო, მაშასადამე იმას უფლებაც ჰქონდა, ფული დაეხარჯა. თუ საკრებულომ ხელშეკრულობა დასდო და ეხლა საგანგებო კრების დამტკიცებას თხოულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამის უფლება არა ჰქონდა.

**ნ. ტარსაიძე.** მოხსენება სრული არ არის. საკრებულომ გადასაწყვეტად წამოაყენა საკითხი, დაამტკიცოს კრებამ ან არა ხელშეკრულობა, მაგრამ ამის შედეგები როგორი იქნება, არ ამბობს. ეს კი უმთავრესია. ვსთქვათ არ დაამტკიცა კრებამ: რა იქნება მაშინ? გაყვანილი იქნება კახეთის რკინის გზა? დაგვეკარგება რამე თუ არა და სხვა!

ექიმი **გაბაშვილი.** თავ. ბ რათაშვილმა სწორი გზა გვიჩვენა. საჭიროა ამ საკითხის გადაწყვეტა: ასეთი ხელშეკრულობა ხელსაყრელია თუ არა, მხოლოდ ამის გამორკვევის შემდეგ შეიძლება დამტკიცდეს ან უარყოფილ იქმნას.

თავ. **კ. აფხაზი.** დეპუტატთა საკრებულოს წინადადება შემოაქვს ერთად იქმნას განხილული საკითხები.

**შ. მესხიშვილი.** წინადადებას იძლევა საკითხს ფორმალური მხარე ჩამოშორდეს.

**გ. რცხილაძე.** საკითხი ი ის შესახებ, თუ რა მოგველის, თუ ხელშეკრულება არ დავადასტურეთ, მეტად საყურადღებოა. სწორედ ამას უნდა მიაქციოს კრებამ უმთავრესი ყურადღება.

თავ. **კ. აფხაზი.** ამის შესახებ ლაპარაკი კამათის დროს იქნება.

**გ. ჟურული.** დღიურ რიგის შესახებ ლაპარაკობს. გ. რცხილაძეს ტყუილად გააწყვეტინეს სიტყვა. იგი ფორმალურ მხარეს კი არა, არსებითად ეხება საკითხს სწორედ იმ საკითხს, რომელიც კრებას აინტერესებს.

**გ. რცხილაძე.** საჭიროა საკითხის არსებითად განხილვა. ერთი უპირველესთაგანი ამ მხრივ არის ის საკითხი, რომელიც ა. ყანჩელმა წამოაყენა.

თავ. **კ. ვაჩნაძე.** მოსწონს საკრებულოს საქციელი, რომ, ძნელი საკითხების გადაწყვეტის დროს, საკრებულო საერთო კრებას ეკითხება. ამითი საკრებულოს უფლებანი სრულიადაც არ იზღუდება.

თავ. **ი. ჭავჭავაძე.** საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ან საზოგადო კრების ან მთელი დეპუტატთა საკრებულოს მიერ. ეს ისეთი სერიოზული საკითხია, რომ მისი ერთი კაცის მიერ გადაწყვეტა შეუძლებელია.

თავ. **ნ. რ. ერისთავი** ასე საკითხის დასმა არ შეიძლება. თავდაპირველად უნდა გადასწყდეს, ამტკიცებს თუ არა თავად-აზნაურობა ხელშეკრულობას.

**გ. რცხილაძე.** როგორი შედეგი მოჰყვება, თუ აზნაურთა საგუბერნიო კრება არ მიიღებს 1913 წ. 6. აპრილს დადებულ ხელშეკრულებას? აი ეს არის უმთავრესი საკითხი. ამ ნამდვილ იურიდიულ საკითხს, იურიდიული ინტერპრეტაციით უნდა მივუდგეთ. ეს არის გაყიდვა მოძრავი ქონებისა. ამიტომ ხელშეკრულება დადებულია და ძალაში შედის მორიგების, და არა ქონების გადაცემის შემდეგ. მიუხედავად იმისა, თუ კრება საკითხს უარჰყოფს, ბანკი მაინც აინაზღაურებს, რადგან მას უფლება ეძლევა მოითხოვოს მთლად 550 ათასი მანეთი. ეს უფლება მან შეიძინა 1913 წელს 6 აპრილს. ყველა ამას იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ხელშეკრულობა სავალდებულოა. ხელშეკრულობის მოწყობის შემდეგ იგი უკვე მიღებულია აღსასრულებლად. აქ ამბობენ, ხელშეკრულობა მიიღო არა რწმუნებით აღჭურვილმა პირმა, რომელსაც დეპუტატთა საკრებულოს თანაბარი გადამწყვეტი უფლება აქვს. თუ საქმე სასამართლოში გადავიდა, და ეს კი უეჭველად იქნება, როდესაც ხელშეკრულებას კრება უარჰყოფს, სასამართლო საქმეს ამრიგად შეხედავს: ხელშეკრულება მიიღო დეპუტატთა საკრებულომ, რომელსაც ისეთივე უფლება აქვს, როგორც საზოგადო კრებას. გარდა ამ მოსაზრებისა, აქ წარმოდგა ახალი მოსაზრება, რომელიც ამოწმებს, რომ ეს ხელშეკრულობა სავალდებულოა. გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმსრულებელ თავ. საგინაშვილი დ. გურამიშვილი ხელშეკრულობას შესახებ დეპეშით აცნობებდნენ ერთმანეთს. ყველა ამ მოსაზრების გამო ორატორი დარწმუნებულია, რომ თუ თავად-აზნაურობა უარჰყოფს ხელშეკრულობას, ბანკს უფლება აქვს 550 ათასი მანეთი მოითხოვოს, რადგან ხელშეკრულობა თითქოს მიღებულია სისრულეში მოსაყვანად.

ამას შემდეგ კრება შესწყდა 1/4 საათით.

(დასასრული იქნება)

## საქონლის მრეწველთა კრება

შემოდგომაზე ქ. ტფილისში მოწვეული იქნება საქონლის მრეწველთა კრება, რომლის მიზანია გამოიკვლიოს მესაქონლეობის უმთავრესი საჭიროებანი. კრებას იწვევს ბიურო, რომელიც შესდგა ტფილისის საბირჟო კომიტეტისა და კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა შეთანხმებითა და აგრეთვე მიწვეული პირებისაგან. კრებაში მონაწილეობას მიიღებენ, კავკასიის სოფლის მეურნენი: რომელნიც მისდევენ მესაქონლეობას, საქონლით ვაჭრობას; მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ მესაქონლეობასთან და აგრეთვე მესაქონლეობის სანოვაგით მოვაჭრენი. კრების უმთავრესი მიზანია, გამოარკვიოს მესაქონლეობისა და მისგან წარმოშობილ სანოვაგის გაუმჯობესობისათვის საჭირო ზომები. კრება განიხილავს შემდეგ საკითხებს: I. **მესაქონლეობის შესახებ:** ა) საქონლის ჯიში და ხარისხი; საქონლის მრეწველობის ტეხნიკის ჩამორჩენა ჩვენში, ჯიშის გამაუმჯობესებელი საქონელი; ბ) საქონლის კვება, საკვები მასალები და მათი გატანა, საკვებ ბალახების თესვა, საძოვრები; გ) ცოდნათა გავრცელება, გამოფენები, საცდელი სადგურები, საჩვენებელი უბნები, ბროშიურები, პლაკატები, საინსტრუქციო კურსები და კითხვები; დ) საბეითლო კანონები; ე) გადასახადები; 3) სტატისტიკის მოწყობა და მესაქონლეობის გამოკვლევა; ზ) საქონლის მრეწველთა კოოპერაციები; თ) მესაქონლეთა დაკავშირება; ი) სამელიორაციო კრედიტი.

II. **საქონლითა და ხორცით ვაჭრობა:** ა) საქონლის ბაზრები, ტფილისის ბაკები; ბ) წარმოებისა და მოხმარების ადგილებში კრედიტის დაწესება; გ) არსებული ვაჭრობა, შუამავალნი; ფულის გადახდის დროს მოტყუება. დ) ვაჭრობის წესები: ბირჟა; საბირჟო რეგისტრაცია, გადასახადი ყოველ თავზე, კომისიონერები, საარბიტრაჟო კომისია; ე) საქონლის აუქციონით გაყიდვა; ვ) საქონლის შესარეკი ადგილები სასალახოში და საქონლის საკვები; ზ) ქალაქების როლი საქონლის სყიდვაში; თ) საქონლის გადაზიდვა და ჩამორეკა; ი) საქონლის ექსპორტი.

III. **ხორცის საქმე:** ა) ხორცის ფასის აწევა; გადარჩევა ხარისხის მიხედვით, ტაკსა; ბ) ვაგონებით ხორცის გაზიდვა; გ) სასალახო; დ) საყინულეები; ე) საყასბოები; 3) ქალაქის საყასბოები.

VI. **საქონლის მრეწველობის სხვა ნაწარმოებნი:** ტყავი, მატყლი, რძის სანოვაგეები, ქონი, ნაწლევები და სხვ.

ამ საკითხების შესახებ წარდგენილი იქნება წერილობით და სიტყვიერი მოხსენებანი, რომელიც კრება განიხილავს. კრებას ყოველ წევრს თითო გადამწყვეტი ხმა ექნება. კრების თავმჯდომარე, ამხანაგი, მდივანი და მისი თანაშემწე არჩეულ იქნებიან კრებაზე. კრება ოთხ სექციად გაიყოფება პროგრამის, ოთხ განყოფილების მიხედვით; სექციები თავმჯდომარეს თვით ამოირჩევენ. კრების თავმჯდომარე, ამხანაგი, მდივანი თანაშემწით პრეზიდიუმს შეადგენენ, რომელსაც ეკუთვნის კრების გამგებლობა. მოხსენებანი უნდა წარუდგინონ არა უგვიანეს ორის თვისა კრების გახსნამდე: კრების გახსნამდე მოხსენებანი უნდა წარუდგინონ კრების ბიუროს, შემდეგ კი პრეზიდიუმს, რომელიც საბოლოოდ დაადგენს, განსახილველია მოხსენება თუ არა. კრების სხდომის დასრულების შემდეგ არჩეულ იქნება ხუთი კაცისაგან შემდგარი მუდმივი კომიტეტი რომელიც ზომებს მიიღებს, რომ კრების დადგენილებანი განხორციელებულ იქნას, გახკარგულებას მოახდენს შემდეგ კრებების მოწვევისა, კრების ნაშრომის დაბეჭდვის შესახებ.

## ინგლის-ოსმალეთის შეთანხმება

საშინელი ბედი ეწია ოსმალეთის იმპერიას. მისი დამოუკიდებელი არსებობა ბეწვზე ჰკიდია. ჩვენ მრავალგზის აღგვინიშნავს ის გარემოებანი, რომელთა მიზეზითაც ოდესმე ძლიერი იმპერია დღეს სრულიად დაღუპვის კარსაა მიმდგარი და ამიტომ აქ აღარ გამოუდგებით მათს აღნუსხვას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ნახევარ-მთვარის დამარცხება ბალკანეთში არ იყო დამარცხება მარტოოდენ ოსმალეთის სამხედრო ძლიერებისა — იგი მომასწავებელი იყო იმ პრინციპის უვარგისობისა, რომელიც სარჩულად ედო იმპერიის საგარეო და შინაურ პოლიტიკას. მაკედონიასა და თრაკიაში სასტიკ დამარცხების შემდეგ მეგობრები იმით ანუგეშებდნენ სასოწარკვეთილ პორტას, რომ აზიაში კიდევ დაგრჩენია თვალუწვდენი სამფლობელო, სადაც ადვილად შეგიძლიან ქრილობათა დაშუშება და სახელმწიფოებრივი აღორძინება. ევროპის დიპლომატიაც თითქოს ამ განზრახვით დასთანხმდა ბალკანეთის ცნობილ status quo-ს დასამარებას დ ტერიტორიალურად დაუინტერესებლობასთან ერთად ფინანსიური დახმარებაც აღუთქვა განადგურებულ ოსმალეთს. და, აჰა, დადგა კიდეც დრო დანაპირების ასრულებისა. ჯერ კიდევ არ გამქრალა თოფ-ზარბაზანთა კვამლი ევროპის ოსმალეთში, რომ „უანგარო“ დიდი სახელმწიფოები აზიის ოსმალეთში ანთებენ ცეცხლს ხელის მოსათბობად. ყოველი მხრიდან მისდგომიან უთანასწორო ბრძოლაში მოქანცულ ოსმალეთს და ლუკმა ლუკმა ჰგლეჯენ მის დაავადებულ სხეულს.

უბედური ომით დაზარალებულ ოსმალეთს ფული ეჭირვება. ხოლო ფულს სად იშოვის იგი, თუ არა იმავე დიდ სახელმწიფოებში. ეს უკანასკნელნი კი სესხს მხოლოდ თვალსაჩინო გარანტიით იძლევიან; ამიტომ ოსმალეთიც იძულებულია ნაჭერნაჭერ გაჰყიდოს თვისი სამფლობელო, რადგან მიწა-წყალს გარდა მას არა გააჩნია რა ევროპის მოვალეთა უზრუნველსაყოფად. ყველაზე ადრე ინგლისმა მიჰყო ხელი თვისი „უანგარო“ აღთქმის აღსრულებას. დაპირებულ სესხის სამაგიეროდ, რომლის უმეტესი ნაწილი ისევ ინგლისში დარჩება შეკვეთილ სამხედრო გემების საფასურად, სენ-ჯემის მთავრობამ ერთბაშად განახორციელა დიდი ხნის განზრახვა. ოსმალეთის საგანგებო წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ინგლის-ოსმალეთის შეთანხმებას, რომლის მთავარი მუხლები შემდეგს შეიცავს:

1) ოსმალეთის მთავრობა ალიარებს ინგლისის პროტექტორატს კოვეიტის ოლქზე სულთნის სუვერენიტეტობის დაცვით;

2) ინგლისს უფლება ეძლევა ბასორა-კოვეიტის რკინის გზის გაყვანისა;

3) ბაღდადის რკინის გზის გამგეობაში შედის ორი ინგლისელი, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს იმ გარემოებას, რომ ინგლისის საქონელი ისეთივე უფლებით მოძრაობდეს ხსენებულ გზაზე, როგორც გერმანიისა.

ედუარდ გრეის მოხერხებული ქამანდი მეხივით დაეცა ევროპის დიპლომატიას, რომელიც ბალკანეთის დავიდარაბაში იყო გართული. ხსენებული შეთანხმება, რასაკვირველია, უპირველესად გერმანიის ინტერესებს ეხება. ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში გერმანიის დიპლომატიის მთელი გულისყური

იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ როგორმე ფეხი მოეკიდებინა ხმელთაშუა ზღვისა და ინდოეთის ოკიანეს ყელებში, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეჭრა ინგლისისათვის ისტორიული პირდაპირი გზა მდიდარ ინდოეთისკენ. ყველას კარგად ახსოვს ის სამარცხვინო დამარცხება, რომელიც გერმანიის დიპლომატიას ხვდა საფრანგეთთან შეჯახების დროს მაროკოს საკითხში. ჩრდილო აფრიკიდან ცხვირჩამოშვებულმა გერმანიამ ახლა არაბეთის ნახევარ კუნძულს მიაპყრო თვალი და ძველი ბაბილონის ნოყიერ ქალების დასაკუთრება განიზრახა. ჯერ ისევ აბდულ-ჰამიდის მეფობის დროს გერმანულ კაპიტალისტებს მიეცათ უფლება ბაღდადის რკინის გზის გაყვანისა, რომელიც სპარსეთის ყურეთი ინდოეთის ოკიანეს სანაპიროებზე უნდა გაჰრილიყო. ინგლისმა, რასაკვირველია, კარგად იცოდა, თუ რა საფრთხეს უქადდა მის აზიის ახალშენებს მცირე აზიაში შემოჭრილი გერმანული ელემენტი, ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ამ კონცესიის განხორციელების შესაფერხებლად. 1911 წელს, როგორც იქნა, მოხდა მათ შორის შემდეგი შეთანხმება: მცირე აზიის რკინის გზის უკანასკნელი პუნქტი ბაღდადი უნდა ყოფილიყო, ხოლო ბაღდადიდან ბასორამდე ლიანდაგი ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოს უნდა განეგრძოთ, ისე კი, რომ თითოეული ამხანაგის ფინანსიური მონაწილეობა ოსმალეთს გარდა თანასწორი უნდა ყოფილიყო. აი სწორედ ამ მონაწილეობის რაოდენობა შეიქნა თავსატეხი. ოსმალეთს ჰქონდა 40%, ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიას ოც-ოცი. ინგლისი შიშობდა, რომ ოსმალეთთან შეერთებით გერმანიას უმრავლესობა (60%) არ მოეპოვებინა და ხელში არ ჩაეგდო რკ. გზის მთელი გამგებლობა. ახლა კი ინგლისმა ისარგებლა ოსმალეთის გაჭირვებული მდგომარეობით და თავის სასარგებლოდ გადასწყვიტა საკითხი. რაკი კოვეიტის მთელი ოლქი ჩაიგდო ხელში და ბაღდადის რკინის გზის ბოლოც მისი საკუთრება შეიქნება, ინგლისს სრულიად აღარ აინტერესებს ის გარემოება, თუ ვინ ააშენებს ბაღდადის რკ. გზას ბასორამდე. ასე რომ ინგლის-ოსმალეთის ახალი შეთანხმების ძალით, გერმანიის კონცესიას სავსებით ეკარგება, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა. ჯერ ერთი რომ ბასორის ნავთსადგური (სპარსეთის ყურეს ჩრდილო ნაწილში) მეტად თხელი ფონია და გემები ნაპირს ვერ ადგება, მეორეც ისა, რომ ბასორა-კოვეიტის რკინის-გზის გაყვანით ბაღდადის გზას ბოლო ეკვეცება და უბრალო ადგილობრივ შტოდ იქცევა. ასე რომ, სრულიად მართალი არიან გერმანული გაზეთები, რომელნიც ბაღდადის რკინის გზის ყოფას მაროკოს მარცხს ადარებენ. ინგლისის დიპლომატიამ მეორეჯერ გააცურა ბერლინის მედიდური პოლიტიკოსები. დაუმატეთ ამას ის გარემოებაც, რომ იმავე ინგლის-ოსმალეთის შეთანხმების ძალით, ოსმალეთმა უნდა გაიყვანოს ურმიის ოლქიდან თავისი ჯარი, მაშასადამე სადაო ადგილები სავსებით რუსეთის გავლენას უნდა დაექვემდებარონ სპარსეთის მხრიდან. თუ გავიხსენებთ იმ მოლაპარაკებასაც, რომელიც თებერვლიდან სწარმოებს საფრანგეთისა და ოსმალეთის შორის და რომელსაც მიზნად აქვს სირიაში ფრანგთა რესპუბლიკის გავლენის განმტკიცება, ცხადად დავინახავთ, რომ გერმანელთა დაწყებულებას მცირე აზიაში ყოველი მხრიდან ჰფარგლავს სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა მტრული ინტერესი. ასეა, თუ ისე, ოსმალეთისთვის ყოველ შემთხვევაში აქ საიმედო არა არის-რა. დღეს არა ხვალ მცირე აზიის ამ ახალ status quo-საც ბოლო მოეღება, თუ ბრწყინვალე პორტა კარგად არ ჩაუკვირდება გუშინდელ მწარე გაკვეთილს.

**კოლხი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ბათომის „მოგზაური“** დასის მსახიობები ქ-ნი ბეჟანიშვილი, ბ. ბ. ბარველი, კორიშელი, ყალაბეგიშვილი და ჩაგუნავა მიემგზავრებიან კახეთში. წარმოდგენებს გამართავენ თელავში, ველისციხეში, კარდანახში და სიღნაღში. სხვათა შორის წარმოდგენილი იქნება **შალვა დადიანის** ახალი პიესა **„შენი ჭირიმე“**, კალმის ნაშმაკარი სამს განყოფილებათ. ეს ამხანაგობა ივნისის პირველ რიცხვებში გაემგზავრება რაჭაში, სადაც რამდენიმე წარმოდგენას გამართავს. შემდეგ განზრახული აქვთ სადღესასწაულო წარმოდგენა გამართონ ვლ. ალექსი-მესხიშვილის პატივსაცმლად მისივე მონაწილეობით.

# შემოწირულება

**ბატონმა გიორგი იოსების ძემ ყავრიშვილმა შემოსწირა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემდეგი წიგნები:** ა) „სადღესასწაულო“, ხუცური ხელნაწერი 1742 წ., ბ) „სადღესასწაულო“ მე-XVIII ს. მეორე ნახევრის მხედრული ხელნაწერი, გ) „წამებანი და ცხოვრებანი წმიდა მამათა“, 1639 წ. ხუცური ხელნაწერი, დ) კრებული სხვა და სხვა სასულიერო შინაარსის წერილებისა, მე-XVIII ს. მხედრული ხელნაწერი, ე) კრებული სხვა და სხვა სასულიერო სწავლათა და ახსნანი საღმრთო წერილის ზოგიერთა ადგილებისა, მე-XVIII ს. მხედრული ხელნაწერი, 3) საქმე წმიდათა მოციქულთა ანუ აპოსტოლე, 1703 წ. ხუცური ხელნაწერი, 2) მოკლე მოთხრობა ძველ ფილოსოფო'თა ცხოვრებისა, 1798 წ. მხედრული ხელნაწერი, ც) განგება მწუხრისა, მოქცევა თათრისა და სავედრებელნი გალობანი იესო ქრისტესი, მე XVIII ს. ხუცური ხელნაწერი, თ) მოქცევა მირიან მეფისა და ყოვლისა ქართლისა მე-XIX ს. მხედრული ხელნაწერი, ი) ქადაგებანი შესახებ სხვა და სხვა სახარების თავებისა, მე-XVIII ს. მხედრული ხელნაწერი, ია) თარგმანება გამოცხადებისა წ-ისა იოანე მახარებლისა, ანდრია მთავარეპისკოპოზისა, კესარია კაბადუკელისა, მე-XVIII ს. ხელნაწერი, იბ) შემთხვევისათვის ცუდთა შედგომილებათა შემდგომად შობისა, მე-XIXს. მხედრული ხელნაწერი, იგ) სიტყვა დღესა ხარებისასა, მე-XIX ს. მხედრული ხელნაწერი, იდ) შეკონვილი ლექს სიტყვანი, ანუ ამონაწერი აზრები საღმრთო რჯულიდან, ფილოსოფოსების წიგნებიდან და მათ შორის ვეფხის-ტყაოსნიდანაც, იე) ღრამატიკა ანტონ I კათოლიკოსისა, გადაწერილია 1769 წ., ივ) განგება ღვთის მშობლისა მიცვალების დღისა 15 აგვისტოს და სხვა, 1775 წ. და 1777 წ. ხუცური ხელნაწერი, იზ) ოქროწკტარი იოანე დამასკელისა მხედრული ხელნაწერი მე-XVIII ს., იც) მარტირიკა ანტონ კათოლიკოსისა, მე-XIX ს. მხედრული ხელნაწერი ით) ქილილა და დამანა, მხედრული ხელნაწერი მეXIX ს. უკ) ქართლის ცხოვრება ვახტანგის რედაქციისა მე-XVIII ს. კა) დასტურლამა მეფე ვახტანგ მე-VI-სა მხედრული ხელნაწერი, კბ) Наставленіе какъ писать и сочинять всякія письма, მოსკოვში ნაბეჭდი 1796 წ. და კგ) Слова и рѣчи Павла, архіепископа кишиневскаго и хотинскаго, три тома.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველს.

# დეპეშები

**დეპეშათა პეტერბ. სააგენტო.**

11—12 მაისი.

## უცხოეთი.

**პარიზი.** პუანკარეს სურვილით კლემანსომ ინახულა იგი ელისეის სასახლეში კლემანსო დიდ-ხანს ებაასა პუანკარეს.

**ლვოვი.** „გაზეტა ნაროდოვა“-მ დაჰბეჭდა გალიც ის პოლონელთა სამღვდელოების მოწოდება სეიმის არჩევნების გამო. სამღვდელოება მოუწოდებს გლეხებს და მუშებს არ მისცენ ხმა ლიუდოვცებს და სოციალისტებს. პოლონელ დემოკრატიულ პარტიებს ურჩევს, ნუ შეუერთდებიან რადიკალებსა და არა ქრისტიან ელემენტებს.

**ათინა.** მართალი არ გამოდგა ხმები, ვითომც საბერძნეთის ჯარისთვის ებრძანოთ დაეცნენ ბულგარების მიერ დაჭერილ კავალას და სხვა პოზიციებს. საბერძნეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ მიუხედავად უკანასკნელ უთანხმოების სირთულისა, შედეგი არავითარი არ მოჰყვება ამას.

**სალონიკი.** 10 მაისს ბერძენ-ბულგართა შეტაკება არ განახლებულა. 9 მაისს ბულგარებმა უკუაქციეს ბერძნები სამხრეთისკენ. პრავისტში ბერძნებმა დააპატიმრეს ვოდენის ფლორინის და კასტორიის სამასზე მეტი ჩეტნიკი. ამ ამბავმა ბულგართა შორის დიდი აღელვება გამოიწვია.

**ათინა.** პანმაიონში ბერძნებსა და ბულგარებს შორის ამ უკანასკნელ დღეებში შეტაკება მოხდა. საბერძნეთის ელჩმა პროტესტი განუცხადა გეშოვს ბულგარების მოქმედების გამო პანმაიონში. გეშოვმა ელჩს აღუთქვა ღონისძიების მიღება სამტრო მოქმედების შესაჩერებლად.

**მუკდენი.** შიდა მონღოლეთის მთავრებმა დუდუს პროტესტი განუცხადეს ჩინეთის მთავრობის სურვილის წინააღმდეგ, გადააქციოს შიდა მონღოლეთი პროვინციად. ისინი მოითხოვენ შიდა მონღოლეთისათვის შინაურ საქმეებში თავისუფლებას და მონღოლეთის ჯარის ყოლას; აგრეთვე ჩინეთის კოლონიზაციის შესუსტებას; რადგანაც პეკინი უნდობლად ეპყრობა შიდა მონღოლეთს, მთავრებმა ხელახლად განაცხადეს თვისი ერთგულება რესპუბლიკისადმი.

**იგლპესი** (თეხარის შტატი). მექსიკანელმა მეამბოხეებმა შეიტყუეს მთავრობის რაზმი, რიცხვით 100 კაცი, და იქ დახვრიტეს.

**ათინა.** გარეშე საქმეთა სამინისტროს ეცნობა, ბულგარებსა და ბერძნებს შორის მომხდარ შეტაკებას სერიოზული ხასიათი არ ჰქონდაო.

**სოფია.** 9 მაისს, დილით საბერძნეთის რადოლევის მახლობლად ჯარმა სროლა აუტეხა ბულგარებს. ბულგარები ჯერ სროლაზე არ უპასუხებდნენ, მაგრამ როდესაც სროლით სატელეგრაფო მავთულები დაზიანდა, ბულგარები იძულებულნი იყვნენ სროლითვე ეპასუხნათ. ბერძნები ორფანოს სრუტესკენ განიდევნენ.

**ბუქარესტი.** მოხდა კრება კონსერვატორებისა სენატის პრეზიდენტის და მინისტრთა თანადასწრებით. კარპმა წინადადება მისცა კენჭი უყარონ რეზოლიუციას, რომელიც არღვევს პეტერბურგის კონფერენციის დადგენილებას რუმინია - ბულგარეთის დავის თაობაზე. როზეტიმ განაცხადა, რომ ამის გადაწყვეტა მხოლოდ პარლამენტს შეუძლიანო. კერძოდ როზეტი სილისტორიის შემოერთების მომხრეა. მინისტრები კენჭის ყრის გადადებას მოითხოვდნენ. ფილიპესკოუმ სასტიკად დაჰგმო მთავრობის მოქმედება, რომელმაც ვერ შესძლო რუმინიის ინტერესების დაცვა.

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის გემი „ნევადა“, სმირნის სრუტედან რომ გამოვიდა, ნაღმს დაეტაკა და დაიღუპა. ორას მგზავრში მხოლოდ 80 კაცი გადაარჩინეს.

**მუკდენი.** რადგანაც ჩინეთის სამხრეთით დიდი მღელვარებაა, დუდუმ ბრძანება გასცა ჯარი საომრად გამზადებული იყოსო და ფხიზელი თვალყური ადევნონ ანარქისტებსო.

**სტამბოლი.** მთავრობა სასტიკ ზომებს იღებს მშვიდობიანობის დასაცავად. ამბობენ, რომ მოხდა პროგრესის და ერთობის კომიტეტის კრება, რამდენიმე მინისტრის მონაწილეობით. თათბირი იყო ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე.

## რუსეთი.

**კიშენიოვი.** იზმაილოვის ერობამ დაადგინა მაზრაში საყოველთაო სწავლა შემოიღოს

**ოდესა.** საქალაქო საქმეთა სამართველომ ერთხმად დაადგინა დაარღვიოს ქალაქის არჩევნები. ხელახლად არჩევნები მაისის დასასრულს მოხდება.

**პეტერბურგი.** ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა დაიჭირა გაზეთ „ტრუდოვოი გოლოს“-ის მე-12 ნომერი.

# სპორტი

## დოღი.

9 მაისს საჯირითო მოედანზე მეშვიდეჯერ გაიმართა დოღი. წვიმის გამო მიწა ძლიერ რბილი იყო და ცხენებს გაქენება უძნელდებოდათ. პირველ შეჯიბრებაში გაქენდა ორი ცხენი: ნ. ლიუქსის „აპროპპო“ და ხან-ნახიჩევნელის „პონდორა“. გასარბენი მანძილი იყო ორი ვერსი. თუმცა თავიდანვე წინ „პონდორა“ მიდიოდა, მაგრამ ერთი ვერსის შემდეგ დაიღალა და ადვილად გაუსწრო „აპროპპომ“ და აიღო პირველი ჯილდო 211 მანეთი.

მეორე შექენებაში 2 ვერსისა და 100 საჟ. მანძილი 2 წუთისა და 55 წამის განმავლობაში პირველმა გაირბინა სულთან-გირეების „როლანტმა“, მეორედ მივიდა სტეცკევიჩის „სკატელლა“ და უკან დარჩა ლიუქსის „ქვითი“.

მესამე შეჯიბრებაში გაქენდა 4 ცხენი: ყაზბეგის „კლეველა“, ხანანახიჩევნელის „კარმენჩიტა“, თავ. ქობულაშვილის „შელმა“ და ტუსკაევის „სარმატკა“. თავიდანვე ყველას „კარმენჩიტამ“ გასუსწრო, 1½ ვერსზე მას „შელმა“ წამოეწია, მაგრამ გასწრება ვერ მოახერხა და მეორე რიგში დარჩა. მესამე იყო „სარმატკა“, „კლეველა“ ყველას ჩამორჩა. უკვე წვიმა წამოვიდა და ბოლოს კოკის პირულად გადაიქცა. მიწა სრულად ატალახდა და ცხენებს ძლიერ უძნელდებოდათ ქენება, მიუხედავად ამისა, დოღი მაინც დაასრულეს. მეოთხე შეჯიბრებაში მხოლოდ ორმა ცხენმა მიიღო მონაწილეობა: „ხან-ნახიჩევნელის“ „კრივოე ზერკალომ“ და „ტუმაევის“ მელისანდამ“. თავიდანვე „მელისანდამ“ ძლიერ ჩამორჩა და „კრივილე ზერკალომ“ სულ ადვილად აიღო პირველი ჯილდო. უკანასკნელი შეჯიბრებაში. პირველი ჯილდო აიღო ვესელოვსკიმ, რომელიც ამას წინად ცხენმა გადმოაგდო. იგი იჯდა თავ. მხეიძის ცხენზე „დოროტეიაზე“. მიუხედავად ცუდი ამინდისა, ხალხი საკმაოდ დაესწრო.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა მოვახსენო ქართულ კულტურის საზოგადოების მაგიერ ბ.ბ. კიტა აბაშიძეს, ი. ივანიძეს, ს. აბაშელს, ი. გრიშაშვილს, ი. ფქედლიშვილს და ნ. სულხანიშვილს თავის გუნდით, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების მიერ ამა 9 მაისს გამართულ ვახტანგ ორბელიანის დილაში.

საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჟორდანია.**

ბ-ნო რედაქტორო!

ამასთანავე გიგზავნით ორმოცდა ხუთ მან. (45) შეგროვილს დ. ყვირილაში ვაჟრებსა და ზოგიერთ პირთა შორის განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის ძეგლისათვის.

ვ. უზნაძე, ვლ. ჩხეიძე, ლ. ქაჭიაშვილი, ი. მაღლაკელიძე, კ. გეწაძე.

ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით ათ მანეთს შემოწირულს ბოდბის მონასტერთან არსებულს სასწაულებლის ქართველ მოწაფეთა და მასწავლებელთაგან სახელოვანი მამულიშვილის არჩილ ჯორჯაძის ფონდის გასაძლიერებლად.

ხსენებულ სკოლი'ს ქართული ენის მასწავლებელი **ე. ლეონიძე.**

# ჩვენი ფოსტა

**ბაკურიანი.** ბაგრატ ბეთანელს. თქვენი ეჭვები უსაფუძვლოა. მოგვაწოდეთ მასალები და, თუ რედაქცია საჭიროდ სცნობს, სიამოვნებით დაჰბეჭდავს.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


# მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ს.ჩქარი** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზ. ვრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

**კბილის ექიმი**

**ა. გ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **ბ. ფომინა-თხიპთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამალღების ქ. ტელ. 517).

5—6**ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის-ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# ქალაქის სავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

# ექიმ ნავასარდიანის

# პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დილით:**

## „606“ და „914“

**11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი.** 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

# ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „შრომის“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიისი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

# ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.



ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მექანიკური ნაწარმოები. 170

# „ოქროს ვერძი“

ყოველ-კვირეული ჟურნალი

**„ოქროს ვერძი“ გამოვა 17 მაისიდან.**

ჟურნალი ემსახურება ლიტერატურას, კრიტიკას და ხელოვნების ყველა დარგებს.

თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ყველა ჩვენი გამოჩენილი მწერლები.

**მისამართი:** Кутаисъ, Казаковкій пер., Д. ЯШВИЛИ.

**მიიღება ხელის მოწერა შემდეგ ფასებში:**

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ | 1 თ, | საზღვარგარედ ერთი-ორად. | ცალკე |
|---|---|---|---|---|---|
| 5 მ | 3 მ. | 1—75 | 50 კ | | № 10 კ. |

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

1203

# კახეთის რკინის გზა

ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „ქ. გ. აზრის“ რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. საგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

# ძმ. ბეზველოვები.

**საკუთარი სამრეწველოებიდან**

**ახალი თევზი:**

**მტკვრისა, თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.**

**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** (ქიტკა).

**აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჩიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და კონსერვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

# ნ. შიუკაშვილის

გამოსულია და იყიდება

პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**სავაჭრო სკოლა უფლებით და საბუღალტერო კურსები**

**საზაფხულო მეცადინეობით**

# ივანე ზაქარიას ძის ტერ-სტეფანოვისა.

მისაღები გამოცდები 30, 31 მაისს.

პირველი თუმანოვის ქუჩა, საკუთ. სახ. № 13 (დილის 9 საათიდან, საღამოს 5 საათამდე).

მიხეილის პროსპ. № 53 (საღამოს 6 ს.—8 საათამდე). 280


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.